დაინტერესებული მხარეების მიერ საჯარო კონსულტაციების ფარგლებში წარმოდგენილი მოსაზრებების/კომენტარების საპასუხო შემაჯამებელ დოკუმენტი

კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე ბრძანება N100/04-ში ცვლილებების პროექტი (შემდგომში - „ცვლილების პროექტი“) საკონსულტაციოდ და დაინტერესებული მხარეებისგან უკუკავშირის მიღების მიზნით, გამოქვეყნებული იყო საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე 9 ოქტომბრიდან 23 ოქტომბრის ჩათვლით.

ცვლილების პროექტი ეხება ძირითადი პირველადი კაპიტალიდან ბანკის მიერ გასაცემი დივიდენდის დაქვითვის პრინციპს.

ცვლილების პროექტზე უკუკავშირი გამოაგზავნა სს „საქართველოს ბანკმა“ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ სექტორთან და დაინტერესებულ მხარეებთან საჯარო კონსულტაციების გამართვის სახელმძღვანელოს დანართი 2-ის სახით, რომელიც გასაჯაროებულია და შეგიძლიათ იხილოთ დანართად. სს „საქართველოს ბანკის“ მოთხოვნით, დაორგანიზდა ბანკთან შეხვედრა, რომლის დროსაც საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამატებით განიმარტა ცვლილების არსი, მათ შორის, განჭვრეტადი დივიდენდის დათვლის და დაქვითვის პრინციპი. შეხვედრის შემდეგ, სს „საქართველოს ბანკმა“ დააფიქსირა პოზიცია, რომ ცვლილების პროექტის თავდაპირველი ვერსია მისაღებია. შესაბამისად, პროექტის თავდაპირველ ვერსიაში არ შესულა რაიმე კორექტირება.

გარდა ამისა, ცვლილების პროექტით გაფართოვდა 0%-ში შეწონილი მრავალმხრივი განვითარების ბანკების სია, რასთან დაკავშირებითაც საჯარო კონსულტაციის ფარგლებში დაინტერესებული მხარეებისგან საქართველოს ეროვნულ ბანკში არ მოსულა უკუკავშირი.

საბოლოოდ, საქართველოს ეროვნული ბანკმა ცვლილებების პროექტი დაამტკიცა საიტზე გამოქვეყნებული თავდაპირველი ვერსიის სახით.